აზიის განვითარების ბანკი
ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი

18 ივლისი 2013

ბ-ნ ნოდარ ხადური
მინისტრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
გორგასლის ქ.16, 0114
თბილისი, საქართველო

ბატონო მინისტრო,

MFF 0043-GEO: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (SUTIP) და სესხი 2879/2880-GEO(SF): პროექტი 2
ცვლილებები დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულებაში და სასესხო ხელშეკრულებებში

1. ვეყრდნობით რა (i) საქართველოსა (სესხის ამღები) და აზიის განვითარების ბანკს ("ADB") შორის 2010 წლის 21 ივნის ხელმოწერილ „დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულება" (FFA) მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა („საინვესტიციო პროგრამა"); და (ii) სესხის მიმღებსა და ADB შორის 2012 წლის 24 ივლისს ხელმოწერილ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2 -ის („პროექტი") სასესხო ხელშეკრულებას (სპეციალური ოპერაციები) და სასესხო ხელშეკრულებას (განსაკუთრებული ოპერაციები) („სასესხო ხელშეკრულებები"). ყველა აქ გამოყენებულ, მაგრამ არა განმარტებულ პირობას აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულებაში და სასესხო ხელშეკრულებებში, თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს.

2. 2013 წლის 17 მაისს ADB-მ დაამტკიცა საინვესტიციო პროგრამის ცვლილება წლების მიხედვით მოსალოდნელი შედეგების კორექტირების მიზნით და განაახლა ორი შედეგის ინდიკატორი. აღნიშნული ცვლილებების განსახორციელებლად, გთავაზობთ დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების დანართი 2-ის ცვლილებას, რომელიც ახლავს ამ წერილ-შეთანხმების 1 დანართს. ყოველივე ეს გამომდინარეობს საინვესტიციო პროგრამის განხორციელების მიმოხილვიდან.

3. 2013 წლის 17 მაისს, ADB-მ ამასთანავე დაამტკიცა: (i) პროექტის მნიშვნელოვანი ცვლილება - პროექტიდან ამოიღო მცხეთის ხიდის ქვეპროექტი, მცხეთის ხიდის ქვეპროექტის საკონსულტაციო მომსახურება და თბილისის ბულვარის ქვეპროექტი; და (ii) პროექტის სასესხო თანხების რეალოკაცია და სასესხო ანგარიშიდან თანხის გამოთხოვის პროცენტული წილი, პროექტის მნიშვნელოვან ცვლილებასთან კავშირში. 2013 წლის 17 მაისს ADB-მ ასევე დაამტკიცა №2879 სესხით გათვალიწინებული თანხიდან 15,114,000 აშშ დოლარის გაუქმება. აღნიშნული ცვლილებები ასახავს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 თებერვლის წერილით გამოხატულ თხოვნას და საქართველოს მთავრობასა და ADB შორის შემდგომ განხილვებს. აღნიშნული ცვლილებების განსახორციელებლად, გთავაზობთ სასესხო ხელშეკრულება შეიცვალოს შემდეგნაირად:

ცვლილება სასესხო ხელშეკრულებაში (ჩვეულებრივი ოპერაციები)

ა) სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) 2.01 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„პუნქტი 2.01 (ა) ADB-ი თანახმაა ADB-ის ჩვეულებრივი კაპიტალური ფონდების რესურსებიდან გასცეს სესხი მსესხებელზე ორმოცდარვა მილიონ რვაას ოთხმოცდაექვსი ათასი დოლარის (48,886,000) ოდენობით, მოცემული თანხა შესაძლოა პერიოდულად დაკონვერტირდეს, წინამდებარე სასესხო ხელშეკრულების 2.06 პუნქტში განსაზღვრული დებულების შესაბამისად."

ბ) სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) დანართი 2-ის დამატებაში ასახული ცხრილი, შეიცვალოს ამ წერილი-შეთანხმების დანართი2-ით.

ცვლილება სასესხო ხელშეკრულებაში (განსაკუთრებული ოპერაციები)

გ) სასესხო ხელშეკრულების (განსაკუთრებული ოპერაციები) პრეამბულის (გ) ნაწილი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„(გ) მსესხებელსა და ADB-ს შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულების („სასესხო ხელშეკრულება ჩვეულებრივი ოპერაციები") თანახმად, ADB-ი თანახმაა ADB-ს ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსებიდან მსესხებელს, პროექტის მიზნებისათვის, გამოუყოს სესხი ორმოცდარვა მილიონ რვაას ოთხმოცდაექვსი ათასი აშშ დოლარის ($48,886,000) ოდენობით;

დ) სასესხო ხელშეკრულების (განსაკუთრებული ოპერაციები) დანართი 1-ის მე-3 პარაგრაფის ბ პუნქტი წაიშალოს.

ე) სასესხო ხელშეკრულების (განსაკუთრებული ოპერაციები) დანართი 3-ის ცხრილი, შეიცვალოს ამ წერილი-შეთანხმების დანართი 3-ის ცხრილის შესაბამისად.

4. გარდა ზემოაღნიშნული ცვლილებებისა, დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების და სასესხო ხელშეკრულებების მუხლები რჩება უცვლელი;

5. ინფორმაციის გასაჯაროებასა და გაცვლასთან დაკავშირებით ADB-ს საჯარო კომუნიკაციის პოლიტიკის შესაბამისად, დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების და სასესხო ხელშეკრულებების ცვლილებები განთავსებულ უნდა იქნეს ADB-ის საიტზე ცვლილებების ძალაში შესვლიდან 2 კვირის განმავლობაში, მას შემდეგ რაც ამოღებულ იქნება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც განეკუთვნება PCP-ის გამონაკლისებს, როგორც ეს განმარტებულია მსესხებლის მიერ.

6. გთხოვთ გამოხატოთ მსესხებლის თანხმობა წერილი-შეთანხმების მე-2 და მე-3 პარაგრაფში მოცემულ ცვლილებებზე და პირობებზე აღნიშნული წერილი-შეთანხმების ორი ორიგინალის ხელმოწერით ხელმოწერისთვის განკუთვნილ ადგილზე. გთხოვთ ერთი ხელმოწერილი ორიგინალი დაიტოვოთ, ხოლო მეორე დაუბრუნოთ ADB-ს. შემოთავაზებული ცვლილებები ძალაში შევა მას შემდეგ, რაც ADB მიიღებს წინამდებარე წერილი-შეთანხმების ხელმოწერილ ორიგინალს.

პატივისცემით,

კლაუს გერჰაუზერ

გენერალური დირექტორი

ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის განყოფილება

დანართები:

1. დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების დანართი 2, ცვლილებების გათვალიწინებით (3 გვერდი);
2.სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) დანართი 2-ის დამატება ცვლილებების გათვალიწინებით (1 გვერდი)
3. სასესხო ხელშეკრულების (განსაკუთრებული ოპერაციები) დანართი 3-ის დამატება ცვლილებების გათვალიწინებით (1 გვერდი)

ა. მისაღებია და ვეთანხმებით.

ბ. ვადასტურებთ, რომ დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულება და სასესხო ხელშეკრულებების ცვლილება არ შეიცავს ინფორმაციას, რომელიც განეკუთვნება PCP-ის გამონაკლისებს.

საქართველოს სახელით:

სახელი გვარი:

თანამდებობა:

თარიღი:

საინვესტიციო პროგრამის დაგეგმარებისა და მონიტორინგის სტრუქტურა
მრავალტრანშიანი დაფინანსების მექანიზმი

პროექტის შეჯამება	განხორციელების მიზნები/ მაჩვენებლები	მონაცემთა წყაროები/ ანგარიშგების მექანიზმები	დაშვებები და რისკები
შედეგი გაუმჯობესებული ურბანული გარემო, ადგილობრივი ეკონომიკა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა ურბანულ სფეროში	2021 წლისათვის - 2008 წელთან შედარებით, 10%-ით გაიზრდება ტურიზმის მიმზიდველობა (129,000) და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა - 2009 წელთან შედარებით, 5%-ით შემცირდება უბედური შემთხვევების (8,000)რაოდენობა - 2009 წელთან შედარებით შეიქმნება სამშენებლო პროექტებში დასაქმებულთა რაოდენობა (21,772)	- ანგარიში მუნიციპალიტეტების , მუნიციპალური კომპანიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მაჩვენებლების შესახებ - ტურიზმის დეპარტამენტისა და სხვა შესაბამისი დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევები - სტატისტიკური კვლევები (რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და სხვა შესაბამისი სამსახურები) - საქართველოს შრომის სტატისტიკის დეპარტამენტი - თბილისის მუნიციპალიტეტისა და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები	დაშვებები - სახელმწიფო ახორციელებს ზრდის სტრატეგიას - გარემოს ეკოლოგიური სტრუქტურის გათვალისწინება - პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა - ურბანული ტრანსპორტის მრავალტრანშიანი დაფინანსების მექანიზმის დანერგვა, როგორც ეს გათვალისწინებული იყო რისკები ეკონომიკის მგრძნობიარობა გარე შოკებზე
შედეგი ეფექტიანი, საიმედო და ხელმისაწვდომი ურბანული სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფა შესაბამის ქალაქებში	2018 წლისათვის - 2009 წელთან შედარებით, ამ პროგრამით ისარგებლებს, სულ მცირე, 2.5 მილიონი ადამიანი ქალაქებში - 2008 წელთან შედარებით, 5%-ით გაიზრდება თბილისის იმ ურბანული	არასამთავრობო ორგანიზაცია; საერთაშორისო ან ეროვნული სატრანსპორტო ასოციაციების ანგარიშები მუნიციპალური სტატისტიკა მეტროპოლიტენი, ავტობუსების კომპანიები ან სხვა სტატისტიკური სამსახურები, საჭიროების შემთხვევაში	დაშვებები ურბანული საგზაო რუკის დანერგვა გეგმის შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ დაუყონებლივი გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი თანხების გამოყოფა;

	მოსახლეობის რიცხვი(35%), რომელსაც უშუალო შეხება აქვს საზოგადოებრივ ტრანსპორტთან - 2009 წელთან შედარებით, 5%-ით გაიზრდება სამგზავრო გადაზიდვები (923,000)საზოგადოებრივი ტრანსპორტით - 2009 წელთან შედარებით, იგივე საფეხურზეა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოდალური გაყოფის შენარჩუნება თბილისში (54%) - 2008 წელთან შედარებით, 5%-ით გაიზრდება ქალების მიერ მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება (56%)	რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემთა ბაზა	შესაბამისი მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა MDF, თბილისი და სხვა მუნიციპალიტეტები მიყვებიან გარანტიების უზრუნველყოფის პოლიტიკას რისკი სუსტი კოორდინაცია სამთავრობო უწყებების და შესაბამის მუნიციპალიტეტებს შორის ხელს შეუშლის სასიცოცხლო ოპერაციებს.
შედეგები: 1.მუნიციპალური განვითარების ფონდისა და სხვა შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ ურბანული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოება, რეაბილიტაცია და გაუმჯობესება	2014 წლისათვის - თბილისში უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსამდე მეტროს გაფართოება 1,5 კმ სიგრძით - მესტიის 20 კმ სიგრძის ურბანული გზის განახლება - ყველა დიზაინი და მშენებლობა დააკმაყოფილებს ფეხით მოსიარულეთა ქალისა და მამაკაცის მოთხოვნებს (მაგალითად:უფროსები ბავშვებით) 2016 წლისათვის - დასრულდება თბილისი-რუსთავის 15 კმ-იანი დამაკავშირებელი გზა	- ურბანული სატრანსპორტო რუკის გამოქვეყნება შესაბამისი უფლებამოსილი მუნიციპალიტეტის მიერ - თბილისის მეტროსა და ავტობუსების კომპანიის, ყოველწლიური ანგარიშები - მონაწილე ქალაქის ვებ-გვერდი და სხვა მუნიციპალური კომუნიკაციისა და მედიის მასალები - პრესრელიზები და პრესის მიმოხილვა - მუნიციპალური ტრანსპორტის სტატისტიკა - მუნიციპალიტეტის ანგარიშები	დაშვებები - კარგად დაკომპლექტებულ, უფლებამოსილ ინსტიტუტებს შეუძლია ეფექტიანი ფუნქციონირება და მუნიციპალური მომსახურების მართვა რისკები - ახალმა მუნიციპალიტეტებმა აქცენტი ურბანული ტრანსპორტიდან ინვესტიციებზე გადაიტანა - საშინაო კონტრაქტორების სიმძლავრეები ამოწურულია, გარედან დაფინანსებული მიმდინარე პროექტების დიდი

	- ქვეითთა ხიდის მშენებლობა შესაბამის ქალაქებში - განახლდება 10 კმ სიგრძნის ურბანული გზა და განხორციელდება ნაპირდაცვა - თბილისში იფუნქციონირებს საგზაო მართვის ცენტრი **2018 წლისათვის** - განახლდება 10 კმ სიგრძის ურბანული გზა ურბანულ ადგილებში - მულტიმოდალური განტვირთვის გზის რეპროექტირება და განახლება - ცალკეული ავტობუსის და ტრამვაის და ხაზების იმპლემენტაცია	- მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული კვლევები	რაოდენობიდან გამომდინარე - მზარდი ენერგომამოძრავებლების დანახარჯები ზრდის საოპერაციო დანახარჯებს და ტარიფებს, რაც არ არის მხარდაჭერილი მომხმარებლების მიერ
2.მუნიციპალური განვითარების ფონდისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტების ინსტიტუციონალური და მართვის შესაძლებლობების გაძლიერება	**2014 წლისათვის** - დამტკიცდება თბილისის მიმდებარე ტერიტორიის ურბანული ტრანსპორტის საგზაო რუკა - თბილისის ფარგლებში ჩატარდება სამეურნეო კვლევა (50% იქნება ქალი) - განხორციელდება ერთი მულტიმოდალური მოძრაობის მოდელი - თბილისში ჩამოყალიბდება მულტიმოდალური ჯგუფი, ქალების შემადგენლობით - შეიქმნება და იფუნქციონირებს მულტიმოდალური სატრანსპორტო ევბ-	მონაწილე ქალაქის ევბ-გვერდი და მუნიციპალური ორგანიზაციების გრაფიკი	**დაშვებები** - მუნიციპალიტეტები რეაგირება განრიგისა და სტრატეგიული დაგეგმარების შეცელის მიმართ - შეთანხმებული ინსტიტუციონალური რეფორმები განხორციელებულია და აგრძელებს პროგრამის განხორციელებისა და განვითარების მართვისა და მონიტორინგის პოლიტიკურ ნებას **რისკები** -სამთავრობათაშორის უწყებებს და შესაბამის მუნიციპალიტეტებს შორის სუსტი კორდინაცია ხელს

	გეერდი - ქალაქის სასწაველო ტური გენდერული საზოგადოებრიეი ტრანსპორტის დიზაინზე 2016 წლისათვის - ურბანული ტრანსპორტის გენერალური გეგმა, სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობაზე (PPP) დამყარებული - ინტეგრირებული საბილეთო სისტემა - განხორციელდება პარკირების მართვა - მიკროავტობუსების ორგანიზება გენერალური გეგმის მიხედვით - დაინერგება დაგეგმვის პროცესები და დაფუძნდება მონიტორინგი 2018 წლისათვის - გაფორმდება საჯარო მომსამსახურების კონტრაქტი (PSC) - განხორციელდება სატრანსპორტო ნაკადის განტვირთვა სავალი ნაწილის ტერიტორიიდან		უშლის მდგრადი ოპერაციების განხორციელებას - შეუსაბამობა ცენტრალურ და მუნიციპალურ ხელისუფლებას შორის, რეფორმების განხორციელებასთან დაკავშირებით.
3. გამოცდილი და პროფესიონალური ერთეულების ჩამოყალიბება, პროგრამის მართვაზე და განხორციელების მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით, მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შესაბამის მუნიციპალიტეტებში	2011 წლისათვის - ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა და მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მონაწილე მუნიციპალიტეტების მიერ პროექტის შესაძლებლობის დეტალური ანალიზის დროული მომზადება - მოხდება საჯარო ინფორმირების	MDF ყოველწლიური ანგარიში და კომუნიკაციები	**დაშვებები** MDF პრიორიტეტს ანიჭებს ურბანულ სატრანსპორტო პროექტებს და გამოხატავს სურვილს საჭირო რესურსებზე **რისკები** პოლიტიკური საკითხები შეცვლის ურბანულ სატრანსპორტო პრიორიტეტს

	კამპანიების მომზადება - ფინანსური მენეჯმენტის, შესყიდვებისა და გარანტიების უზრუნველყოფის ტრეინინგები 2013 წლისათვის - MDF-ის მიერ დაქირავებული იქნება ყველა საჭირო პროფესიონალი მათ შორის 15% ქალი - ჩატარდება ტრენინგი კონცესიური ლიზინგისა და კონტრაქტის მართვაზე - მომდევნო პროექტების შესაძლებლობების შესწავლა და ანალიზი		
საქმიანობის ძირითადი ეტაპები 1.ურბანული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, გაუმჯობესება და რეაბილიტაცია ტრანში 1: • პროექტის დეტალური დიზაინი, I ტანშის სასესხო ხელშეკრულების ეფექტურობიდან 12 თვე (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები); • აშენებული, დაკომპლექტებული და ფუნქციონირებადი ურბანული ინფრასტრუქტურა, 60 თვე (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები, კონტრაქტორები); • აღჭურვილობა შესყიდული და მიწოდებული 36 თვე (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები, მწარმოებლები); ტრანში 2: • პროექტის დეტალური დიზაინი, მე-2 ტანშის სასესხო ხელშეკრულების ეფექტურობიდან 12 თვე (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები); • მიწების დროული შესყიდვა და განსახლების გეგმების განხორციელება კონტრაქტების ხელმოწერამდე (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები); • აშენებული, დაკომპლექტებული და ფუნქციონირებადი ურბანული ინფრასტრუქტურა 60 თვე (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები, კონტრაქტორები); • მანქანები და აღჭურვილობა, შესყიდული და მიწოდებული 36 თვე (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები, მწარმოებლები); ტრანში 3: • პროექტის დეტალური დიზაინი, მე-3 ტანშის სასესხო ხელშეკრულების ეფექტურობიდან 12 თვე (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები); • მიწების დროული შესყიდვა და განსახლების გეგმების განხორციელება კონტრდაქტების ხელმოწერამდე (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები); • აშენებული, დაკომპლექტებული და ფუნქციონირებადი ურბანული ინფრასტრუქტურა 60 თვე (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები, კონტრაქტორები); • მანქანები და აღჭურვილობა, შესყიდული და მიწოდებული 36 თვე (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები, მწარმოებლები); 2. ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების გეგმა			ფინანსური წელილი: ADB: 300.00 მლნ აშშ ADF\OCR ტრანში1: 85 მლნ აშშ დოლარი (ADF) ტრანში2: 64.89 მლნ აშშ დოლარი, აქედან: 16 მლნ აშშ დოლარი (ADF) 48.89 მლნ აშშ დოლარი (OCR) მთავრობა: 51.63 მლნ აშშ დოლარი

• ქელეა და სატრანსპორტო მოძრაობის სტრატეგიული მოდელის განვითარება 12 თვე (MDF, თბილისის მუნიციპალიტეტი); • მუნიციპალურ დონეზე მულტიმოდალური ჯგუფის ჩამოყალიბება 12თვე და მულტიმოდალური კონცეფციის მიღება 18 თვე (მონაწილე მუნიციპალიტეტები); • დეტალიზებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრთა გამოკითხვა და მონაცემთა ბაზის განვითარება 24 თვე (მონაწილე მუნიციპალიტეტები, ოპერატორები); 3. პროგრამის მართვის ორგანიზაცია • უსაფრთხოების სპეციალისტების დასაქმება 6 თვე (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები); • გენდერული ფოკუსირება MDF და ADB-ს დახმარებით • ტრენინგების გეგმა განხორციელება 48 თვე, მონაწილეთა 30% იქნება ქალი (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები); • პროგრამის განვითარების მხარდაჭერა, განხორციელება და მართვა პროგრამის განხორციელების განმავლობაში (MDF, მონაწილე მუნიციპალიტეტები). ტრანში II: დამტკიცდება 2012 წლის ბოლოსათვის ტრანში III: დამტკიცდება 2013 წლის ბოლოსათვის	

ADB- აზიის განვითარების ბანკი, ADF-აზიის განვითარების ფონდი, km-კილომეტრი, MDF-მუნიციპალური განვითარების ფონდი, MFF-მრავალ ტრანშიანი დაფინანსების მექანიზმი, MRDI-რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, NGO-არასამთავრობო ორგანიზაცია, OCR-ჩვეულებრივი კაპიტალური რესურსები, MPU-პროგრამის მართვის რგოლი, PPP-სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობა.

წყარო: აზიის განვითარების ბანკი

სესხი 2879: სასესხო ხელშეკრულება(ჩვეულებრივი ოპერაციები)
ცხრილი

სესხის სახსრების განთავსება და გამოთხოვა (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა, პროექტი 2)			
ნომერი	პუნქტი	ADB-ის დაფინანსების მთლიანი თანხის განაწილება ($) კატეგორია	სასესხო ანგარიშიდან თანხის გამოთხოვის პროცენტული წილი
1	სამუშაოები	36,674,000	მთლიანი ხარჯის 74.58%*
2	საკონსულტაციო მომსახურება	2,761,000	მთლიანი ხარჯის 70.82%*
3	პროცენტი და ვალდებულების გადასახადი	1,616,400	გადასახდელი თანხის 100%*
4	გაუნაწილებელი	7,834,600	
	სულ	48,886,000	

- სესხის მიმღების ტერიტორიაზე დადგენილი გადასახადების და მოსაკრებლის გარეშე

სესხი 2880: სასესხო ხელშეკრულება (განსაკუთრებული ოპერაციები)

ცხრილი

სესხის სახსრების განთავსება და გამოთხოვა (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა, პროექტი 2)			
ნომერი	პუნქტი	ADB-ის დაფინანსების მთლიანი თანხის განაწილება (SDR) კატეგორია	სასესხო ანგარიშიდან თანხის გამოთხოვის პროცენტული წილი
1	სამუშაოები	8,312,000	მთლიანი ხარჯის 25.42%*
2	საკონსულტაციო მომსახურება	758,000	მთლიანი ხარჯის 29.18%*
3	პროცენტი	223,000	გადასახდელი თანხის 100%*
4	გაუნაწილებელი	1,346,000	
	სულ	10,639,000	

* სესხის ამღების ტერიტორიაზე დადგენილი გადასახადების და მოსაკრებლის გარეშე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმნის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 01 2511-13
თარიღი/DATE 29.08.13
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia